პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 დეკემბერი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 299 (14903)

გუშინ თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

თბილისი. 1970 წლის 22 დეკემბერი. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სხდომა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. მახტანგაძისა.

საიუბილეო წლის გეგმა და ბიუჯეტი

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

22 დეკემბრის დილის სხდომა

შემოქმედებითი ძალებისა და ძლიერების ახალი აყვავებით, შრომის ფართო მტკიცე ნაბიჯით, სახელოვან საქმეთა მძლავრი გაქანებით ეგებება ჩვენი ქვეყანა ახალ 1971 წელს. თვითეული წელი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში ახალი საფეხურია წინსვლაში, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებაში, ახალი თვალსაჩინო ნიშანსვეტია კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მაგრამ მომავალი წელი მარტო ჩვეულებრივი მორიგი კალენდარული წელი როდია. იგი მატიანეში შევა როგორც ლენინის იუბილეს წელი, მერვე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ახალ დიდ წარმატებათა წელი. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოპოვებული წარმატებანი გვახარებენ, შთაგვაგონებენ ახალი შრომითი გმირობისათვის. ეს წარმატებანი XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შედეგი.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას მომავალი წლის მარტის ბოლოს სკკპ XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ჩვენი ქვეყნის წინსვლის ახალი პროგრამა. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უძღვნიან ისინი თავიანთ შრომითს მიღწევებს. დიდი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული მეორე სესიის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც ერთხელ კიდევ ახალი ძალით გამოვლინდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

საქართველოს მშრომელებისათვის ყრილობისწინა დღეები ემთხვევა მზადებას რესპუბლიკის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის. შთაგონებით, გულმოდგინედ შრომობენ ისინი, დგანან ყრილობისწინა და საიუბილეო დამკვრელურ შრომითს ვახტზე და ცდილობენ მოიპოვონ საიუბილეო საპატიო სიგელები. ყოველდღე მოდის ცნობები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში შესანიშნავ მიღწევათა შესახებ. შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა ხორცს ისხამს პატაკებში არა მარტო ცალკეული საწარმოების მიერ, არამედ მრეწველობის მთელი დარგების მიერ ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების შესახებ. როგორც ყოველთვის, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ შეჯიბრების ავანგარდში არიან თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის მშრომელები, მათ ჯერ კიდევ 24 ნოემბრისათვის შესრულეს წარმოების საერთო მოცულობისა და მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა.

რესპუბლიკის საერთო წარმატებათა მიღწევაში თავიანთი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. შესრულდა ჩაის, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, ხორცის, რძის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმა.

მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან საერთო მწყობრში მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ქართველი ინტელიგენციის ყველა რაზმი ცდილობენ ახალი მიღწევებით აღნიშნონ პარტიის ყრილობისათვის და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადება.

1970 წელი ქართულ მიწა-წყალზე ბევრ კარგ ნიშანს ტოვებს. რესპუბლიკის მშრომელები ჯერ ოთხი პატიოსანი ცალით აცილებენ 1970 წელს და სიხარულით ხვდებიან ახალ, 1971 წელს, რომელიც აგვირგვინებს საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის გზას. ისინი გულდაჯერებით ეგებებიან ხვალინდელ დღეს.

მომავალი წლის შედეგებს, სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმას განიხილავს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია, რომელიც 22 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ი. ბ. ამირჯანა, გ. ა. ბაზაევი, რ. ა. ჯაფარიძე, ლ. ა. ხოზრევანიძე.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. პანუშვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა. მან შეაქვს წინადადება, რომ ფიზიზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების რ. ი. ფრუნძისა და ი. გ. ქარუმიძის ხსოვნას.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. ნ. გრიბალაშვილის მოხსენება იმის შესახებ, რომ სამანდატო კომისიამ შეამოწმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული დეპუტატების რწმუნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: „ცნონ რწმუნებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების: ზოთა ილარიონის-ძე პანუშვაძისა, რომელიც 1970 წლის 15 ნოემბრის აირჩიეს გორის რაიონის კარალეთის № 90 საარჩევნო ოლქში, ნიკოლოზ ზიოს-ძე ცხაკაიასი, რომელიც 1970 წლის 15 ნოემბრს აირჩიეს ქარელის რაიონის აგარის № 99 საარჩევნო ოლქში და ჯუმბერ ილიას-ძე პატიაშვილისა, რომელიც 1970 წლის 15 ნოემბრს აირჩიეს ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქში".

დამტკიცეს სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დაამტკიცეს სესიის მუშაობის წესი.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება" მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ს. ტრაპაიძემ.

ამის შემდეგ დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა თანამოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ", რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ვ. გელაშვილმა.

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც გამოვიდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, დეპუტატები ი. ბ. ამირჯანა (ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), ბ. ო. მაღლაფერიძე (მეტალურგთა საარჩევნო ოლქი, ქალაქი რუსთავი), რ. მ. სიოროძე (ქობულეთის საარჩევნო ოლქი, ქობულეთის რაიონი).

როგორც კამათის მონაწილე დეპუტატები და ორატორები აღნიშნავდნენ, ეს სესია ღირსშესანიშნავ დროს გაიმართა. იწურება ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, რომელიც გაცისკროვნებულია სახელოვანი ისტორიული თარიღით: პარტიამ და ხალხმა ზეიმით, კანონიერი სიამაყით აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. საქართველოს მშრომელები ამრავლებენ ლენინის საიუბილეო ვახტის დღეებში მოპოვებულ წარმატებებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობის, რესპუბლიკის კომპარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სულ ცოტა ხანი დარჩა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის იუბილემდე. ხუთწლედის დამთავრებასა და ამ დიდი მოვლენებისათვის მზადებას ქალაქისა და სოფლის მშრომელები აღნიშნავენ სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო, მართლაც რომ საყოველთაო სახალხო ბრძოლა გაქანებით. ახალი ხუთწლედის ანგარიშში უკვე მუშაობს ათასობით საწარმოო კოლექტივი. სესიის მაღალი ტრიბუნიდან დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე წელს მოპოვებული წარმატებანი შემდგომი წინსვლის საიმედო საფუძველია, ხელშემწყობ პირობებს ქმნიან ყრილობისწინა და საიუბილეო შეჯიბრების დროს ნაკისრი გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შედეგების ანალიზისას დეპუტატები წარმატებებთან ერთად აღნიშნავდნენ სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ რგოლებში არსებულ ნაკლოვანებებსა და სერიოზულ ხარვეზებს. სახელმწიფო გეგმა თვითეული კოლექტივის კანონია. მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმებს. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ ყოველი ღონისძიებით და რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი.

კამათის ყველა მონაწილემ ერთსულოვნად მოიწონა სესიის განსახილველად წარმოდგენილი მომავალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შედგენილი გეგმა საუნიონო უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამით დამთავრდა სესიის დილის სხდომა.

22 დეკემბრის საღამოს სხდომა

16 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის საღამოს სხდომა, თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი რ. ა. ჯაფარიძე.

გრძელდება სესიის მუშაობის დღის წესრიგის პირველ საკითხზე გაკეთებული მოხსენებებისა და თანამოხსენებების განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ:

დეპუტატი უ. ფ. ცქვიტინიძე (წერეთლის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), სამრეკლო ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ა. ჯიოევი, დეპუტატები გ. ხ. არზუმანიანი (ბარალეთის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), ა. ი. შალური (ფასანაურის საარჩევნო ოლქი, დუშეთის რაიონი), ი. ს. სეფაშვილი (შილდის საარჩევნო ოლქი, ყვარლის რაიონი), ს. ვ. ფურმოშიძე (საჩხერის საარჩევნო ოლქი, საჩხერის რაიონი), ე. ი. რუფოვა (პირველი მაისის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ვ. გ. მამალაძეშვილი (რუსთაველის საარჩევნო ოლქი, ხაშურის რაიონი), ო. გ. საგანაშვილი (ყანდაურის საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი), ვ. ფ. ფანქულაშვილი (ცხინვალის საარჩევნო ოლქი, ცხინვალ რაიონი).

დეპუტატთა ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ძირეული საკითხები. დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო რეფორმას და დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების პროგრესულ პრინციპებს და აღნიშნეს, რომ საჭიროა უნარიანად შეუხამონ მატერიალური სტიმულირების სისტემა მორალურ წახალისებას, განამტკიცონ დისციპლინა, უფრო სრულად გამოიყენონ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების არსებული რეზერვები.

დეპუტატებმა დაახასიათეს სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების კიდევ უფრო სწრაფ ტემპს, დაახავენ ფართო პერსპექტივებს მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდისათვის. დეპუტატებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით გადაწყდება. ამის საწინდარია ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის.

სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

23 დეკემბრის სესია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

მოლაპარაკება გრძელდება

22 დეკემბერს კრემლში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნისა** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** მოლაპარაკება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **ალი საბრი.**

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა განაგრძეს აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება საკითხებზე, რომელთა განხილვაც ადრე დაიწყეს. გრძელდებოდა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე. დაწვრილებით განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ახლანდელი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი.

ორივე მხარემ განიხილა სსრ კავშირის და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ყველა დარგში მეგობრული თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების გზები. (საკდესი).

მრეწველობის მუშაკთა ნოგათი

ვადამდე შესრულდა საიუბილეო წლის გეგმა

საქართველოს მრეწველობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ლენინის საიუბილეო წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებაში და ამით დირსეული წვლილი შეიტანეს ხუთწლედში.

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 22 ოქტომბრის შესასრულა პროდუქციის რეალიზაციის 1970 წლის გეგმა. შარშანდელთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 8 პროცენტით, წარმოების მოცულობა — 10 პროცენტით. მიმდინარე წლის ბოლომდე გამოუშვებენ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას, მათ შორის ელმავლებს, სატვირთო ავტომობილებს, მარგანეცს, ქვანახშირს, ფეროშენადნობებს, ტრაქტორებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ფოლადისა და თუჯის სხმულს, ელექტროკარებს, ელექტროშესადუღ მოწყობილობას, შრალ ლითოფონს, არტეზიულ ტუმბოებს, სასმა ხელსაწყოებს, ავეჯს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ჩაის, ღვინოს, ხორცისა და რძის პროდუქტებს და სხვა ნაწარმს. მიღწეულია გარკვეული წარმატებანი პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებაში.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღაროელთა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, თბილისის ციროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნის, სოხუმის ხელსაწყოსამშენებლო ქარხნის, ბაფუმის ელექტრომექანიკური ქარხნის, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს", ფოთის ელექტრომანქანათა გამაძლიერებლების ქარხნის, თბილისის № 5 საკერავლო ფაბრიკის, ტრესტ „საქართველოს ჩაის", საამტრესტების, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნისა და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წელს ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები. მწყობრში ჩადგა ხუთი სამრეწველო საწარმო, აგრეთვე ბევრი ახალი საამქრო და წარმოება ამოქმედ საწარმოებში. კერძოდ, საექსპოზიციოდ არის გადაცემული კარბამიდის, სინთეზური ამიაკის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებების, ავეჯის, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვათა საწარმოო სიმძლავრენი. ბევრ მოქმედ საწარმოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება წარმოების მართვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების მეოხებით.

წარმატებით იმუშავეს ტრანსპორტის მუშაკებმა. 1970 წლის გეგმა როგორც მუშაობის საერთო მოცულობით, ისე ძირითადი მაჩვენებლებით გადაჭარბებით შესრულეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1970 წელს აღემატება 7 პროცენტით გასული წლის დონეს. საქონელბრუნვის წლიური გეგმა შესრულდა 101,1 პროცენტით. გაყიდულია მეტი თევზი და თევზის პროდუქტები, კარაქი და მიეწარეული ზეთი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, შაქარი, საკონდიტრო საქონელი, კარტოფილი, ბოსტნეული, უალკოჰოლო სასმელები, სხვადასხვა ქსოვილები, შეკერილი საქონელი, ტყავის ფეხსაცმელი, ავეჯი, ელექტროსაყოფაცხოვრებო მანქანები და სხვ.

რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს სკკპ საქართველოს კომპარტიის ორმოცდაათ წლისთავს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალ ხუთწლედში მოიპოვონ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი.

(საქდესი).

„ლუნოხოდ-1" სადგომ ადგილს ირჩევს

ვორეული კავშირგაბმულობის ცენტრი, 21 დეკემბერი. (საკდესი). საცაა დამთავრდება მთვარის მეორე დღისათვის დაგეგმილი „ლუნოხოდ-1" ავტომატური აპარატის მეცნიერული კვლევის პროგრამა.

მთვარემავალთან 21 დეკემბერს 5 საათიდან 8 საათსა და 30 წუთამდე მოსკოვის დროით გამართული რადიოკავშირის მორიგ სეანსში ყოველმხრივ გამოიკვლიეს აპარატის სადგომი ადგილი მთვარის მომავალი ღამისათვის. ამ მიზნით მთვარემავალი მიიწევდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დიდი კრატერის შიდა ფერდობით, რომლის ცენტრში თვითმავალი აპარატი დაეშვა მოძრაობის წინა სეანსის დროს.

აპარატის მოძრაობის პირობები რთული იყო, მთვარემავლის დახრილობა ცალკეულ უბნებზე აღწევდა 23 გრადუსს. მთვარემავალს გზაზე ხვდებოდა ხუთ მეტრამდე დიამეტრის პატარა-პატარა კრატერები და წვეტიანი ქვების ნაყარი. ზოგიერთი ქვა ნახევარ მეტრს აღწევდა.

ავტომატური აპარატი მრავალჯერ მობრუნდა და უკან დაიხია რადიოკავშირის სეანსის დროს მთვარემავლის მიერ განვლილი გზა 78 მეტრს შეადგენს.

სეანსის დროს წარმოებდა ზედაპირის აგეგმარება სტერეოსკოპული გამოსახულების მიღების მიზნით. ზედაპირის პანორამებისა და სტერეოსკოპული ფოტოსურათების ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვან მეცნიერულ ინტერესს იწვევს შეშხვედრი ქვების კვლევა. სავარაუდოა, რომ მთვარემავალი იმყოფება შედარებით „ახალგაზრდა" კრატერის მახლობლად მდებარე ამონაფრქვევების ზონაში.

ტელემეტრიული ინფორმაციების მონაცემებით, თვითმავალი აპარატის ყველა საბორტო სისტემა და აგრეგატი ნორმალურად მუშაობს. ტემპერატურა ხელსაწყოთა ნაკეთურში ბლუს 18 გრადუსია ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 770 მილიმეტრი.

„ლუნოხოდ-1" ავტომატური აპარატი განაგრძობს მეცნიერულ კვლევას **ვეიმენის ზღვაში.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე განსახილველად შემოაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის — მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

მომავალი წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც ღირსშესანიშნავი, რადგან ამ წელს პარტიის XXIV ყრილობა მიიღებს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარო პოლიტიკის საკითხებზე.

საქართველოს მშრომელებისათვის 1971 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ წელს ქართველი ხალხი აღნიშნავს თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი შემუშავებულია იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. გეგმის პროექტში გათვალისწინებულია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებები და წინა წლებში სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული დონე. გეგმის პროექტი მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ დამტკიცებულ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებს.

ვიდრე მოგახსენებდეთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში 1971 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებული ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, ნება მიბოძეთ მოკლედ შევჩერდე 1970 წელს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების წინასწარ შედეგებზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარება 1970 წელს

მიმდინარე სამეურნეო წელს, მერვე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში მიღწეულია შესამჩნევი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, რაც საშუალებას იძლევა გეგმის დავალებები მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ. სახელდობრ, სამრეწველო პროდუქციის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის, საერთო სარგებლობის ავტომატსახელოების ტვირთბრუნვის, საცალო საქონელბრუნვის გეგმის მაჩვენებლები გადაჭარბებით შესრულდება.

წინასწარი მონაცემებით 1970 წელს სარეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა შარშანდელთან შედარებით 8 პროცენტით და მეტად გაიზრდება ნაცვლად გეგმით დასახული 7 პროცენტისა. სახალხო მეურნეობა მიიღებს მილიონობით მანეთ ზეგეგმით სამრეწველო პროდუქციას; მათ შორის ელექტროენერგიას, მარგანეცის მადანს, ქვანახშირს, ქაღალდს, ცემენტს, ტყავის ფეხსაცმელს, კონსერვებს, ხარისხოვან ჩაის, მოუხდელი რძის პროდუქციას, ღვინოს და სხვა სახალხო მოხმარების საქონელს.

ამასთან ერთად, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულების, მათი სუსტი ათვისებისა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად თუნდაც, მინერალური სასუქების, სინთეზური ამიაკის, კაპროლაქტამის, შალის ქსოვილების, ტრიკოტაჟისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოების გეგმები არ სრულდება.

1970 წელს ამოქმედდა სახალხო მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის რუსთავის ქიმიური კომბინატის მეორე რიგი, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა სიმძლავრეები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სარწყავი და ამოშრობილი მიწის ფართობები, ელევატორები, საავტომობილო გზები და სხვ.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში წელს მთლიანად 7,8 პროცენტით გაიზრდება ნაცვლად 1969 წლის 6,4 პროცენტისა. შესამჩნევად გაუმჯობესდა თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. მწვანე ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით, ყურძნისა — 122 პროცენტით. 1 დეკემბრის მდგომარეობით თესლოვანი ბიღის შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 124 პროცენტით, რაც 30 პროცენტით მეტია, ვიდრე ამავე თარიღისათვის იყო 1969 წელს. ციტრუსების შესყიდვა ერთნაირად გაიზრდება. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაც.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს პირუტყვის დაცემის შემცირებას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებას.

პირველი დეკემბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება გადიდდა 6 პროცენტით და კვერცხისა — 20 პროცენტით.

წლეულს შედარებით უკეთ, ვიდრე გასულ წელს, მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოსაცოდნელი შესრულება 1969 წლის დონეს გადაჭარბებს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებმა ჩაატარეს მნიშვნელოვანი ნუშაობა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალ საშუალებათა, მოწინავე ტექნოლოგიის სახალხო მეურნეობაში დასანერგად და ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოსაშვებად. შექმნილია 50-მდე ახალი სახეობის მანქანის, მოწყობილობისა და ხელსაწყოს საცდელი ნიმუში.

სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებამ და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობეს მოსახლეობის მაღალი ფულადი შემოსავალი, საქონელბრუნვისა და ფასიანი მომსახურების მოცულობათა ზრდა.

გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის გეგმა და მისი მოცულობა გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 7,7 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 14,6 პროცენტით.

აგებულია საბავშვო ბაღები 5 ათასი ბავშვის და სკოლები — 27300 მოსწავლის ადგილით. წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხოვნობა გაზრდილია 1,9 ათასი კაცით, ან 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1961-1965 წლებში.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ჯერ კიდევ აქვს დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი ეკონომიკის ზრდის დაჩქარებისათვის, რაც სრულად არ არის გამოყენებული. ეს ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული ზოგიერთი მოქმედი და ახლად ამოქმედებული საწარმოო სიმძლავრეები. სამინისტროები, უწყებები და საწარმოები მთლიანად ვერ ასრულებენ ახალი ტექნიკის დანერგვის და სხვა საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების გეგმებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

გეგმის შესრულების პროცესში გამოვლინებული ნაკლოვანებანი ვალდებულს ხდის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მეურნეობის მართვის გასაუმჯობესებლად, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე.

1971 წლისათვის მერქნის გამოზიდვა გათვალისწინებულია 508 ათასი კუბური მეტრით, აქედან ხეტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის ხაზით 400 ათასი კუბური მეტრი და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა — 108 ათასი კუბური მეტრი.

როგორც დეპუტატებისათვის ცნობილია, ჩვენი ტყეების ნიადაგდაცვითი და საკურორტო მნიშვნელობის გამო ამ უკანასკნელ წლებში ვითვალისწინებთ მათი სამრეწველო ჭრების თანდათანობით შემცირებას.

გათვალისწინებულია საშენი მასალების გაუმჯობესების მიზნით სავაჭრო ქსელში გაიზრდება შეფუთული საქონლის მიყიდვა მომხმარებლებისათვის, მაგალითად, დაფასოებული ხორცი, ხორცის ნახევარფაბრიკატებისა და მაკარონის ნაწარმის გამოშვება იზრდება 1,5-ჯერ, დაფასოებული რძისა და ნაყინის ხვედრითი წილი კი — 70 პროცენტს მიაღწევს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის მიერ საერთო პროდუქციის გამოშვება 8,2 პროცენტით გადიდდება; სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა მილიონობით მანეთით განისაზღვრება. სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებასთან ერთად გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების გადიდება თითქმის 22 პროცენტით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა — 25 პროცენტით და სხვ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის მოცულობა 47 მილიონ მანეთს მიაღწევს ანუ წლეულანდელთან შედარებით 10 პროცენტით მეტი იქნება.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 5 პროცენტით, რის შედეგად პროდუქციის საერთო მატებიდან 77 პროცენტი მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოება დასახულია 98 მილიონ 600 ათას მანეთზე მეტი და იზრდება 12 პროცენტამდე, მათ შორის სათამაშოებისა — 29 პროცენტით, საიუველირო ნაწარმისა — 43 პროცენტით, სუვენირებისა — 25 პროცენტით და სხვ.

ზრდის შედარებით უფრო მაღალი ტემპები დასახულია იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

ამხანაგო დეპუტატებო! შევეხე რა ჩვენი მრეწველობის განვითარების 1971 წლის გეგმის ძირითად საკითხებს, ერთხელ კიდევ მინდა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელებისა და მათი კოლექტივების ყურადღება მივაქციო საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის, პროდუქციის, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საქონლის, გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

ამ ზრივ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში ყველაფერი რიგია რიგზე. 1970 წელს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში საშუალო-წლიური საწარმოო სიმძლავრეები გამოყენებულია 78 პროცენტით, ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანაში — 57 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მიერ საკედლე მასალების სიმძლავრეები ათვისებულია 80 პროცენტამდე, არამადნეული საშენი მასალებისა — 87 პროცენტით და სხვ. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება არადამაკმაყოფილებელია ქიმიის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოშიც.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ხარისხდაკვეთებულ, დაწენებულ იქნა და წარმოებას ჩადასაკეთებლად დაუბრუნდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამომზეურული საფეიქრო გალანტერიის ნაწარმიდან შემოწმებული რაოდენობის 39 პროცენტი, წინდის ნაწარმის — 69 პროცენტი, სამკერვალო ნაწარმის — 24 პროცენტი, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ გამომშვებული საფეიქრო გალანტერიის — 85 პროცენტი, ტრიკოტაჟის ნაწარმის — 49 პროცენტი, სამკერვალო ნაწარმის — 29 პროცენტი. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1971 წლიდან იმ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, ჩაირიცხება საეიმწიფოს შემოსავალში და არ ჩაითვლება გეგმის შესრულებაში. სამინისტროებმა, უწყებებმა და წარმოების ხელმძღვანელებმა სისტემატურად უნდა განიხილონ ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და საჭირო მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები.

სოფლის მეურნეობის განვითარება

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც უკვე მოგახსენეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1971 წლისათვის დასახულია ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ყველა კომპლექსის სამეშაოთა ჩასატარებლად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებულია 227 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით

ანი ელემენტების, კვანძების, პანელებისა და ბლოკებისგან სრული ასაწყობი კონსტრუქციების მშენებლობა 100 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც მოგვცემს — 2,3 მილიონი მანეთის წლიური ეკონომიურ ეფექტს. განზრახულია 180 ათასი კვადრატული მეტრი მსხვილპანელიანი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, სამშენებლო ტრესტებში დაგეგმვისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა.

დანახარჯების მოცულობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დაგეგმილია 39 მილიონ 700 ათასი მანეთის ოდენობით ნაცვლად 38 მილიონ 700 ათასი მანეთისა 1970 წელს, ასპირანტურაში მიღებული იქნება 300 კაცამდე.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება

1971 წელს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 9 პროცენტით. აღნიშნული ტვირთბრუნვის შესასრულებლად საერთო სარგებლობის ავტომპარკი შეივსება 1760 ცალი ავტომანქანით.

მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია საქალაქთაშორისო ტვირთბრუნვის შემდგომი განვითარება, რკინიგზის ტრანსპორტიდან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე მოკლე გარბენის ტვირთბრუნვის გადართვა. ავტომუსებით მგზავრთა გადაყვანა იზრდება 6 პროცენტით, ხოლო მუბუქი ტაქსებით — 5,7 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებაში. დიდია სამუშაოზე გამოუსვლელი ავტომანქანების რიცხვი და უტვირთო გარბენები. ამ საკითხს

სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე მოკლე გარბენის ტვირთბრუნვის გადართვა. ავტომუსებით მგზავრთა გადაყვანა იზრდება 6 პროცენტით, ხოლო მუბუქი ტაქსებით — 5,7 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებაში. დიდია სამუშაოზე გამოუსვლელი ავტომანქანების რიცხვი და უტვირთო გარბენები. ამ საკითხს

ავტოტრანსპორტის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

კავშირგაბმულობაში გათვალისწინებულია ყველა სახეობის მომსახურების 5,3 პროცენტით ზრდა. სატელეფონო არხების სიგრძე გაიზრდება 3 ათასი კილომეტრით, საქალაქო სატელეფონო სადგურების ტევადობა — 9 პროცენტით, სოფლად კი 10 პროცენტით, ავტომატურისა თითქმის — 12 პროცენტით, აქედან 30 პროცენტი სოფლად.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმით გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელთა გატარება უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით განზრახულია განხორციელდეს მთელი რიგი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის ღონისძიებანი, რომელთა დანერგვის შედეგად მიღებული პირობითი წლიური ეკონომია მიაღწევს თითქმის 10 მილიონ მანეთს. გეგმით გათვალისწინებულია ხრახმეტის მერქნ ჰიდროელექტროსადგურის, ბალისა და ხულოს ელექტროსადგურების კომპლექსური ავტომატიზაციის განხორციელება. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობაში ავტომატიზებული იქნება სარწყავ სისტემებში წყლის განაწილების ორი მტუმბავი სადგური და ათი ნაგებობა.

დაინერგება სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწვიმარი მანქანებითა და დანადგარებით მორწყვა, თივის გაშრობა აქტიური განიავებით, განხორციელდება პირუტყვის 17-სა და მეფრინველეობის ოთხ ფერმაში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

საშენ მასალათა მრეწველობაში ბანხორციელდება წნეხებიდან ალიზის აღებისა და მისი საშრობ ვაგონეტებში ჩაწყობის, აგურის გამოწვისა და შრომის პროცესების რეგულირების ავტომატიზაცია და სხვა.

გათვალისწინებულია მსხვილზომიანი ელემენტების, კვანძების, პანელებისა და ბლოკებისგან სრული ასაწყობი კონსტრუქციების მშენებლობა 100 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც მოგვცემს — 2,3 მილიონი მანეთის წლიურ ეკონომიურ ეფექტს. განზრახულია 180 ათასი კვადრატული მეტრი მსხვილპანელიანი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, სამშენებლო ტრესტებში დაგეგმვისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა.

ზრდა და კადრები

სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობებში მომუშავეთა რიცხოვნობა 3,2 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1970 წელს, ხელფასის ფონდი იზრდება 6,7 პროცენტით.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში განსაზღვრულია 22 ათასი მოსწავლის მიღება. უკანასკნელ წლებში მოსწავლეთა მიღებამ მნიშვნელოვნად

გადაჭარბა საერთო საცხოვრებლებში საწოლებისა და სასწავლო ადგილების რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საერთო საცხოვრებლების 1334 საწოლი და სასწავლებლებისა — 1910 ადგილით გადიდება.

კაპიტალური მშენებლობა

ამხანაგო დეპუტატებო!

1971 წლის დავალებათა უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 624 მილიონი მანეთი, ანუ 11,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს. ამასთან ერთად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა იზრდება 10 პროცენტით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესაბამისად კაპიტალური დაბანდებები სამუშაოთა მთელ კომპლექსზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, სოფლის მეურნეობაში გათვალისწინებულია — 227,16 მილიონი მანეთი, ანუ 18,5 პროცენტით მეტი ვიდრე 1970 წელს.

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრითი წილი საერთო მოცულობიდან 37 პროცენტს შეადგენს ნაცვლად 34 პროცენტისა 1970 წელს.

სამეშო მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალდაბანდებები განსაზღვრება 13 მილიონ 870 ათასი მანეთის ოდენობით. გათვალისწინებულია გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობის დამთავრება 63 მილიონ კვადრატული მეტრი რბილი სახურავის წარმადობით, ინერტული მასალების დარეკვეთის კარიერის — 400 ათასი კუბური მეტრისა და საგარეჯოს აგურის ქარხნის 20 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრით.

ხე-ტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობისათვის კაპიტალური დაბანდებები გათვალისწინებულია 9 მილიონ 890 ათასი მანეთის მოცულობით, თითქმის 25 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს. ეს კაპიტალური დაბანდებები ძირითადად გამიზნულია ხე-ტის დამამზადებელ საწარმოთა მშენებლობისათვის 90 ათასი კუბური მეტრი ხის მერქნის გამოზიდვისა და საავეჯო მრეწველობის განვითარებისათვის.

მსუბუქ მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებები გათვალისწინებულია 21 მილიონ 790 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ 31 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს. ეს სახსრები ძირითადად მოხმარდება გარდამავალი ობიექტების მშენებლობას. განზრახულია 14 მშენებარე ობიექტიდან დამთავრდეს და ექსპლოატაციოდ გადაეცეს 10 ობიექტი. ამოქმედდება სიმძლავრეები: ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, ხაშურის საფეიქრო-სავალანტერიო ფაბრიკაში, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვ.

კვლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოოთათვის კაპიტალური დაბანდებები გათვალისწინებულია 33 მილიონ 430 ათასი მანეთის მოცულობით, „საქკონსერვხილეფოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტისა — 4 მილიონ 150 ათასი მილიონი მანეთის მოცულობით.

კაპიტალური დაბანდებები ძირითადად წარმართულია გარდამავალი ობიექტების მშენებლობისათვის, რაც შესაძლებელს ხდის საექსპლოატაციოდ გადაეცეს სამტრედიის და წალენჯიხის ჩაის ფაბრიკები, ბიჭვინთაში ხილის წყლებისა და ლუდის ქარხნები, ბორჯომის მეორე ჩამომსხმელი ქარხნის წლიური სიმძლავრე კი აკვანილ იქნას 220 მილიონ ბოთლამდე.

ხრეშისა და რძის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებები 1970 წლთან შედარებით გაიზრდება 19 პროცენტით და შეადგენს — 11 მილიონ 710 ათას მანეთს, წწყობრში ჩადგება ბზიფის და სამტრედიის რძის ქარხნები, გორელოგაკისა და წითელწყაროს ყველის ქარხნები და სხვ.

ფქვილ-ბურღულეულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებები შეადგენს 6 მილიონ 150 ათას მანეთს, ანუ თითქმის 20 პროცენტით მეტს, ვიდრე 1970 წელს.

ეს კაპიტალური დაბანდებები წარიმართება ბორის წისქვილოკომბინატისა და ფქვილისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში სხვა გარდამავალი ობიექტების მშენებლობის გასაგრძელებლად.

[illegible] 1971 [illegible] ბათ[illegible]ულია: მშენებლობის [illegible]ინისტროსათვის — [illegible] ათასი მანეთი, სასო[illegible] მშენებლობის სამინისტროსათვის 6 მილიონ 150 ათასი მანეთი, 53 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს, და „საქმოხატსპეციმშენისათვის“ — 4 მილიონ 500 ათასი მანეთი.

გეგმა ითვალისწინებს რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების

საწარმოს ამოქმედებას 130 ათასი კუბური მეტრის სიმძლავრით და სამეცნიერო ორგანიზაციების შემდგომ აღჭურვას სამშენებლო მექანიზმებით, ავტოტრანსპორტით და სხვა ტექნიკით.

სპეჭრ ქსელის, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე კაპიტალური დაბანდებები 30 პროცენტით, ამასთან ერთად გათვალისწინებულია ახალი სიმძლავრეები — ტახსაცმლის ქიმიური წმენდა, სამრეცხაოები, ბანაობები და მუბუქი ავტომაბინძანების ტექნიკური მოსაცურების სადგურები საექსპლოატაციოდ გადაცემა.

კაპიტალური დაბანდებების მოცულობა ალკოჰოლბაზელიქის საფუვრ[illegible]ს [illegible] 11 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტზე — 8,6 პროცენტით, საგზაო მეურნეობაში — 27 პროცენტით. ამოქმედდება ქალაქის ავტომატური სატელეფონო სადგურები 20 ათასი ნომრით, 83 კილომეტრი საავტომობილო გზები, ავტობაზები და სხვ.

კაპიტალური დაბანდებები მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებზე. მაგალითად, ბანაობებზე გათვალისწინებულია 25 მილიონ 950 ათასი მანეთი, ანუ 35 პროცენტით მეტი. ჯანმრთელობის დაცვაზე — 18 მილიონ 120 ათასი, ანუ 11 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს.

ამოქმედდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 28 ათას 300 სასწავლო ადგილით, საავადმყოფოები 1840 საწოლით და პოლიკლინიკები — ცალკეში ათას ხუთასი კაცის მიღებით.

(დასასრული მე-8 გვ.).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები

ამხანაგო დეპუტატებო! 1971 წლის გეგმის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი ეფექტიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მართვის სრულყოფა და ამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა.

მრეწველობის განვითარება

რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1971 წელს გადიდდება 7 პროცენტით, მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა — 6 პროცენტით, აქედან რესპუბლიკური — 8,2 პროცენტით.

ისე, როგორც მიმდინარე ხუთწლედში, გეგმის პროექტში გათვალისწინებულია იმ დარგების უფრო სწრაფი ტემპით განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესს და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას. ქიმიური მრეწველობა გაიზრდება 15 პროცენტით, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავების მრეწველობა — 10 პროცენტით.

სამრეწველო საწარმოების მოგების მოცულობა გათვალისწინებულია [illegible] მილიონობით მანეთის ოდენობით.

— ელექტროენერგიის წარმოება გათვალისწინებულია 9 მილიარდ 500 მილიონი კილოვატ-საათის ოდენობით, და მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 5,8 პრცენტით. ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად იზრდება სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე.

თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ამოქმედდება 160 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეშვიდე ენერგობლოკი. ენერგიის ჰიდროკვანძის პირველი ავრეგატები, ღალიძგას ჰიდროელექტროსადგური, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და სატრანსფორმატორო ქვესადგურები.

მომავალ წელს ნავარაუდევია 2 მილიარდ 888 მილიონ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი გაზის მიღება ნაცვლად 1 მილიარდ 916 მილიონი კუბური მეტრისა 1970 წელს, ანუ თითქმის ერთნახევარჯერ მეტი.

სახალხო მეურნეობის გაზით და მაზუთით მომარაგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საგრძნობლად უმჯობესდება სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი.

წარმოებული იქნება 765 ათასი ტონა თუჯი, 1 მილიონ 422 ათასი ტონა ფოლადი, 1 მილიონ 187 ათასი ტონა ნაგლინი, 479 ათასი ტონა ფოლადის მილები. მარგანეცის შენადნობების გამოშვება გათვალისწინებულია ათასობით ტონის რაოდენობით.

ქიმიურ მრეწველობაში მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ,

თქვენთვის დარიგებულ მასალებში დახასიათებულია მომავალი წლის გეგმის მაჩვენებლები. ამიტომ ნება მიბოძეთ შევეხო სახალხო მეურნეობის განვითარების მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებს.

[illegible]

[illegible] 1971 [illegible] 1970 [illegible] 1969 [illegible] 1970 [illegible] 1969 [illegible] 1970 [illegible] 1969

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა

(დასასრული)

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების თავმოყრა გარდამავალ მშენებლობებსა და ობიექტებზე, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობა.

ამასთან დაკავშირებით დაუმთავრებელი მშენებლობა კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობასთან შედარებით 1971 წლის ბოლოსათვის შემცირდება 58 პროცენტამდე ნაცვლად 1970 წლის გეგმით გათვალისწინებული 70 პროცენტისა.

გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის დიდი მოცულობა სამშენებლო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მუშაობის გაუმჯობესებას, სამშენებლო ტექნიკის გამოყენების სრულყოფას, სამშენებლო ინდუსტრიის წარმოებების მოლიანად დატვირთვას. სამინისტროებმა და უწყებებმა — დამკვეთებმა დროულად უნდა უზრუნველყონ მშენებარე ობიექტები საპროექტო დოკუმენტაციით და ტექნოლოგიური მოწყობილობით.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ამხანაგო დეპუტატებო!

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანი.

მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობისა და სასაქონლო რესურსების გათვალისწინებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობა იზრდება 8,7 პროცენტით და შეადგენს ორ მილიარდ 440 მილიონ მანეთს. სახელმწიფო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გაიზრდება 8,2 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციისა — 9,8 პროცენტით.

მომავალ წელს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო ნივთებით უზრუნველსაყოფად გადიდდება მაყიდვა ტელევიზორებისა — 15,4 პროცენტით, მაცივრებისა — 23 პროცენტით, სარეცხი მანქანებისა — 13,5 პროცენტით, ყოველ 100 ოჯახზე მოვა რადიომიმღებები და რადიოლები — 69 ცალი, ტელევიზორები — 41, მაცივრები — 50 და სარეცხი მანქანები — 30 ცალი და სხვ.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა გათვალისწინებულია 76 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ 15,4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს, მათ შორის სოფლად —22 პროცენტით. უფრო მეტად იზრდება მომსახურების ისეთი სახეობანი, როგორიც არის ბინების მშენებლობა და შეკეთება, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, აგვიჯის დამზადება და შეკეთება, ქიმიური წმენდა. გათვალისწინებულია მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, შეკეთების შესრულების ვადების შემცირება და მოსახლეობის მომსახურების უფრო სრული დაკმაყოფილება.

დაფინანსების ყველა წყაროდან ამოქმედდება საცხოვრებელი ბინების საერთო ფართობი — ერთი მილიონ 36 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი.

დეპუტატებს მინდა მოვახსენო, რომ მიმდინარე წელს 11 თვის მაჩვენებლების მიხედვით საცხოვრებელი ფართობების სამოქმედოდ გადაცემისა და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება ზოგიერთ უწყებებსა და ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. (მთლიანად რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის 11 თვის გეგმა შესრულებულია 46 პროცენტით, ხოლო კაპიტალური დაბანდებისა —89 პროცენტით). სამინისტროებმა, უწყებებმა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების ათვისებისა და სამოქმედოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობების გეგმის შესასრულებლად.

1971 წლის გეგმით გათვალისწინებულია კომუნალური მეურნეობის შემდგომი ზრდა. ამოქმედდება დღე-ღამეში 93 ათასი კუბური მეტრი წყლის გამტარიანობის წყალსადენები, კანალიზაცია — 68 ათასი კუბური მეტრისა და გაზიფიცირებული იქნება 78 ათასი ბინა, მათ შორის 34 ათასი სოფლად. დაგეგმილია 100 კილომეტრი სიგრძის გაზისა და 12 კილომეტრი თბოქსელის გაყვანა.

გათვალისწინებულია თბილისის წყალსადენის ჭოპორტ-მისაქციელის სამუშაოების დამთავრება, გაგრძელდება წყალსადენების მშენებლობა ბათუმში, გორში, ბაკურიანში, ხრამი-რუსთავი, ოჩამჩირეში, წყალტუბოში, ონში, ზესტაფონში, ახალდაბაში და სხვ.

ქ. თბილისის წყალმომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად გათვალისწინებულია ენინგალის ჰიდროკვანძის კომპლექსის მშენებლობის დაწყება.

დამთავრდება საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობა ზუგდიდში, ქარელში, ახალციხეში, გაგრძელდება კანალიზაციის მშენებლობა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, წყალტუბოში, ბორჯომში, ხაშურში და სხვ.

შემდგომ განვითარდება საქალაქო ელექტრონტრანსპორტი, დაგებული იქნება 5 კილომეტრი ტრამვაის ლიანდაგი და 19 კილომეტრით გაიზრდება ტროლეიბუსის ხაზი, მათ შორის 15 კილომეტრი ქ. რუსთავში. თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე წარიმართება კაპიტალური დაბანდებანი 3 მილიონი მანეთის ოდენობით, საექსპლოატაციოდ გადაეცემა — 2,2 კილომეტრი ლიანდაგი (სადგური 300 ადგილი და საგზური ნავთლული).

კონტინგენტის სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე, 1971 წლის ბოლოსათვის გაიზრდება 3 ათას 470-ით და მიაღწევს 109 ათას 630 ბავშვს.

ამოქმედდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებები 6 ათას 130 ადგილით. ამის შედეგად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებით უზრუნველყოფა გაიზრდება 20 პროცენტამდე.

შემდგომ უპირატეს განვითარებას იღებს დღის სწავლება, როგორც სპეციალიტების მომზადების უფრო ეფექტიანი ფორმა. მოსწავლეთა მიღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების უმაღლეს სასწავლებლებში განისაზღვრება 11 ათას 750 კაცით, მათ შორის დღის სწავლებაზე მიღებული იქნება 6 ათას 650 კაცი.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღება განსაზღვრულია 15 ათას 950 კაცის ოდენობით, ანუ 2,1 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს, მათ შორის დღის სწავლებაზე მიღებული იქნება 13 ათას 350 კაცი, ანუ 3,3 პროცენტით მეტი.

სპეციალისტების მომზადების დონის ასამაღლებლად გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება. უმაღლეს სასწავლებლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სასწავლო-ლაბორატორიული შენობები 8 ათას 900 კვადრატული მეტრი და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში 5 ათას 100 კვადრატული მეტრი ფართობით.

კულტურის სამინისტროს სკოლგარეშე დაწესებულებების ქსელი გაფართოვდება 3 პროცენტით, დამოუკიდებელი მასობრივი ბიბლიოთეკებისა — 7,4 პროცენტით. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდა ძირითადად გათვალისწინებულია სოფლად.

რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში საავადმყოფო საწოლების ქსელი მიაღწევს 43 ათას 290 საწოლს.

საავადმყოფო საწოლების რიცხვი 10 ათას მცხოვრებზე რესპუბლიკაში მიაღწევს 96,1 საწოლს.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ან მეურნეობისა და კულტურის განვითარება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის განვითარება ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრეწველობის სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 12,6 პროცენტით, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი — 11,5 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა — 9 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება — 13,5 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცემა სკოლები 2 ათას 320 სასწავლო ადგილით, საავადმყოფოები 80 საწოლით, წყალსადენი — 7 ათას 200 კუბური მეტრი წყლის გამტარიანობით დღე-ღამეში, საექსპლოატაციოდ გადაეცემა საცხოვრებელი სახლები 10 ათას 100 კვადრატული მეტრი ფართობით და გაყვანილი იქნება 3,5 კილომეტრი ტროლეიბუსის ახალი ხაზი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა იზრდება 10 პროცენტით, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი — 12,6 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა — 8,9 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება — 16 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 960 სასწავლო ადგილით, ბავშვთა სკოლამდელი ასაკის დაწესებულებები 280 ადგილით, საავადმყოფოები 120 საწოლით და საცხოვრებელი სახლები 9 ათას 70 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობაში საავადმყოფო საწოლების ქსელი მიაღწევს 43 ათას 290 საწოლს.

საავადმყოფო საწოლების რიცხვი 10 ათას მცხოვრებზე რესპუბლიკაში მიაღწევს 96,1 საწოლს.

აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ან მეურნეობისა და კულტურის განვითარება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის განვითარება ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრეწველობის სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა იზრდება 10,3 პროცენტით, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი — 29 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა — 9,4 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება — 10 პროცენტით, სამოქმედოდ გადაეცემა სკოლები — 1300 სასწავლო ადგილით, ბავშვთა სკოლამდელი ასაკის დაწესებულებები 280 ადგილით, საცხოვრებელი სახლები 4 ათას 560 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარება და ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის შესრულება მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში მოუმუშავეთაგან ნაყოფიერ შრომასა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, დიდი ენთუზიაზმით განსამტკიცებენ 1970 წელში მოპოვებულ შრომით მიღწევებს და წარმატებით შეასრულებენ 1971 წლის — მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებებს. (ტაში).

საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ს. ფრაპპაიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად ბრძოლის რა მიმდინარე წლის გეგმების და მერვე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ემზადება ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

საქართველოს მშრომელებისათვის ყრილობის ეს წინადღეები კიდევ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ემთხვევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლის საიუბილეოს იუბილეს.

თავიანთი ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელებმა ფართოდ კაჰიღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და ახალ-ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მიმდინარე წლის 11 თვეში 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობაში რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 9%-ით, შრომის ნაყოფიერება — 9%-ით, სამრეწველო საწარმოთა მოგება კი — 10 თვეში 15%-ით.

საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების საწინდარია ახალხო მეურნეობის დარგებში მიღწეული შედეგები და სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლები, რის შესახებაც სესიას მოახსენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ე. მ. ჯაფარიძემ.

წინასწარი მონაცემებით საქართველოს სსრ 1970 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეასრულებული იქნება 102,8%-ით, ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი კი 101,2%-ით.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მიერ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის შესახვედრად აღებული სოციალისტური ვალდებულება 20 მილიონი მანეთის დამატებითი შემოსავლის მიღების შესახებ გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

საერთოდ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით სრულდება. შემოსავლების გადაჭარბებით მიღება შესაძლებელს ხდის უზრუნველყოს არა მარტო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროული და შეუფერხებელი დაფინანსება, არამედ საშუალებას იძლევა განხორციელდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

ასე, მაგალითად, მიმდინარე წელს ბიუჯეტს ზევით, დამატებით დაიხარჯა 90 მილიონ მანეთზე მეტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღების, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და ფიზკულტურის განვითარებისათვის.

მათ შორის სოფლის მეურნეობას მიეცა 24,0 მილ. მან., საქონსერვბლობოსტანის სახელმწიფო კომიტეტს — 7,7 მილ. მანეთი, მშენებლობის სამინისტროს — 3,0 მილ. მანეთი, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს — 2,4 მილ. მანეთი, საქნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასალების სამმართველოს 5 მილ. მან., თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე გაღებულ იქნა 8 მილ. მან., საბინაო მშენებლობაზე—6,4 მილ. მან., თბილისის აეროპორტის საავტომობილო გზის მშენებლობაზე — 3,7 მილ. მანეთი და სხვ.

	დამტკიცებულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1970 წლისათვის	1971 წლის ბიუჯეტის პროექტი
	მილიონ მანეთობით:	
სახალხო მეურნეობის დაფინანსება	486,4	547,2
სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება	711,2	743,3
სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების შენახვის ხარჯები	25,8	25,0
სხვა ხარჯები	25,6	25,7

ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს გარდა, სახალხო მეურნეობის განვითარებაზე თვით საწარმოები და ორგანიზაციები მომავალ წელს დახარჯავენ 437,6 მილიონ მანეთს, სულ კი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე მიმართული იქნება 984,8 მილიონი მანეთი ანუ 1970 წელთან შედარებით 51,4 მილიონი მანეთით მეტი.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 743.3 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 32,1 მილიონი მანეთით ანუ 4,5 პროცენტით.

სამინისტროების, უწყებებისა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, ორგანიზაციების და დაწესებულებების წინაშე დგას ამოცანა უზრუნველყონ ბიუჯეტით დასახული დავალებების შესრულება. საჭიროა მიღწეულ იქნას არა მარტო ყველა გათვალისწინებული შემოსავლის ბიუჯეტში თავისდროულად და სრულად შეტანა, არამედ მუშაობის ჩატარება მათი გადიდებისათვის. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მეცარი ეკონომიის დაცვას და დანშნულებისამებრ მათს ათვისებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფინანსურ-ეკონომიური საქმიანობა ზოგიერთ ადგილობრივ საბჭოთა, ეკონომიურ ორგანიზაციებში, ეკონომიკურ სამინისტროებში, ეკონომიკურ სამმართველოებში, ეკონომიკურ ბიუროებში ჯერ-კიდევ ვერ ეფუძნება ეკონომიკურ ანგარიშებს, ეკონომიკურ ანალიზს, ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეს ნაკლოვანებანი ადგილობრივ ორგანოებში, ეკონომიკურ ორგანიზაციებში, ეკონომიკურ სამინისტროებში, ეკონომიკურ სამმართველოებში, ეკონომიკურ ბიუროებში ბევრ ადგილას ხელს უშლიან ეკონომიკურ ეფექტიანობას, ანელებენ ეკონომიკურ ზრდას, ამცირებენ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

(დასასრული).

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები სისტემატურად ვერ ასრულებენ შშენებლობაში შიგარესურსების მობილიზაციის გეგმას. მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები წლითიწლობით რჩება 30 მილ. მანეთის ფარგლებში, მათ შორის დაუდგმელ მოწყობილობათა ნაშთი, რომელიც საჭიროებს მონტაჟს, სისტემატურად 15-16 მილ. მანეთს აღემატება.

უზრუნველყოფილი არ არის აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე განკუთვნილი საწარმოების და ორგანიზაციების საკუთარი სახსრების შენატანების გეგმების შესრულება;

საჭიროა სამინისტროებმა და უწყებებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ გარემოებას და უზრუნველყონ საკუთარი სახსრების შენატანების გეგმების შესრულება, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების შემცირება.

უახლოესი დროის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სამშენებლო ორგანიზაციების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, რაც გაზრდის მშენებლობაში სამშენებლო წარმოების ეკონომიურ სტიმულირებას და შრომის ნაყოფიერებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამშენებლო ორგანიზაციების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულების შემცირების დავალება და დაგროვების გეგმები, რაც აუცილებელია წამახალისებელი ფონდების შექმნისათვის. ჩვენს პირობებში კი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თვითღირებულების შემცირების დავალებებს და ადგილი აქვს მშენებლობაში მატერიალური და ფულადი სახსრების უყაირათო ხარჯვის ფაქტებს, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ეკონომიური რეფორმის პირობებში იზრდება ბანკის სესხების როლი სამშენებლო წარმოებაში. ამასთან დაკავშირებით მშენებლობის და სახბანკის დაწესებულებებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი და ზემოქმედება სიოჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაზე.

გეოლოგიური სამმართველოს ორგანიზაციები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ წიაღისეულის მარაგის ნამატის დავალებებს, რითაც ადიდებენ რესპუბლიკის მრეწველობის ხელიეულის რესურსებს.

გეოლოგიურ საძიებო სამუშაოების დაფინანსებაზე, გაზისათვის ღრმა ბურღვის სამუშაოთა ჩათვლით, 1971 წლისათვის გათვალისწინებულია საბიუჯეტო ასიგნებანი 25 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს დასახული პროგრამის სრულად განხორციელებას.

1971 წლის ბიუჯეტის პროექტით კომუნალური და საბინაო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 111,0 მლნ. მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 93,6 მლნ. მანეთი.

ამ სახსრებიდან მარტო საბინაო მეურნეობაზე გათვალისწინებულია 41,6 მილ. მანეთი, საიდანაც საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტს მოხმარდება 11,0 მილ. მანეთი.

22 მილ. მანეთზე მეტი სახსრებია გათვალისწინებული ქალაქების ეთილმოწყობის ღონისძიებებზე, მათ შორის ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებებზე — 6,1 მილ. მანეთი, კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალურ რემონტზე 6,2 მილ. მანეთი და მიმდინარე ხარჯებზე 7,8 მილ. მანეთი.

ეს მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე წლისათვის ამავე დანიშნულებით გათვალისწინებულ სახსრებს და მათი საშუალები ბევრი თვალსაზრისო ღონისძიების გატარება შეიძლება მათი რაციონალურად გამოყენების პირობებში, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობის და გამშვენიერებისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაზე გათვალისწინებულია 43,4 მილ. მანეთი. აქედან თითქმის 39 მილ. მანეთი დაიხარჯება საკუთარი წყაროებიდან.

სწრაფად ვითარდება საქალაქო საავტომობილო და ელექტროტრანსპორტი, უმჯობესდება საავტომობილო გზები. მომავალ წელს კიდევ ერთ ახალ საჩუქარს მიიღებენ თბილისის მშრომელები. საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის მეტროპოლიტენის ორი ახალი სადგური — „ისანი“ და „ნავთლუღი“, რომელთა მშენებლობაზეც 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

საავტომობილო მრეწველობის სწრაფი ზრდა ახალ მოთხოვნას უყენებს საავტომობილო გზების მშენებლობას. მომავალი წლის ბიუჯეტით ამ დანიშნულებით გათვალისწინებულია 45,8 მილ. მან., მათ შორის არსებული გზების რემონტს მოხმარდება 30,7 მილ. მანეთი.

მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება ყოველწლიურად კავშირგამშულობის საშუალათა შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებებზე. 1971 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ამ დანიშნულებით 14,8 მლნ. მანეთი, აქედან მხოლოდ მშენებლობის ხაზით 7 მილ. მანეთი, სოფლის ტელეფონიზაციასა და რადიოფიკაციაზე კი დაიხარჯება 920 ათასი მანეთი.

საჭიროა კავშირგამშულობის სამინისტრომ ეფექტურად გამოაყენოს გამოყოფილი სახსრები და მხიშვნელოვნად გაუმჯობესოს კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის ხარისხი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა თავისთავად მოითხოვს საქონლბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდებას. 1971 წლისთვის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გათვალისწინებულია 2.440 მილ. მანეთის ოდენობით, ანუ 8,7 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

გაზრდილი საქონელბრუნვის მოცულობის საფუძველზე ვაჭრობის სამინისტროს საბრუნავი სახსრების მატება განსაზღვრულია 12,9 მილ. მანეთი, ხოლო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები 5,7 მილ. მანეთი.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნებისათვის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში დაიხარჯება სულ 31,2 მილ. მანეთი. მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 18,7 მილ. მანეთი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 12,5 მილ. მანეთი, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაფართოებას, მათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სახელმწიფო სავაჭრო ქსელში დაგროვილი მოძველებული ფასონისა და მოდელის საქონლის ჩამოფასებით დანაკარგების ასანაზღაურებლად 2.889 ათ. მანეთი, რაც მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო!

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად საბიუჯეტო ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე წლიდან წლამდე იზრდებოდა და მათი დაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შეუფერხებლად.

	დამტკიცებულია 1970 წ.	გათვალისწინებულია 1971 წლის პროექტით
	მილიონ მანეთობით	
1. სახალხო განათლება, კულტურა, კადრების მომზადება, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა, ბეჯითი სიტყვის დაფინანსება	369,2	391,3
2. ჯანმრთელობის დაცვა და ფიზკულტურის ღონისძიებები	161,5	162,8
3. მშრომელთა სოციალური დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფა და მოვალეობანი და მარტოხელა დედების სახ. დახმარება	180,5	189,3

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილმა თანხებმა ბიუჯეტის საერთო მოცულობაში 1971 წელს 55,4 პროცენტი შეადგინა.

როგორც გასულ წლებში, ისე მომავალ წელსაც ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებს ხვედი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე თანხები დაიხარჯება აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების მიერ, სათანადო ფონდებიდან, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან.

1971 წლისათვის გათვალისწინებულია კონტინგენტის ზრდა საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში, საყოველთაო სწავლების ყველა ტიპის სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ ტექსასწავლებლებში.

გაიზარდა კულტურულ-საგანმათლებლო დაწესებულებების და კინოთეატრების ქსელი, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად დიდი ყურადღება ექცევა უმაღლესი სკოლების და საშუალო სპეციალური განათლების დაწესებულებათა მუშაობის გაუჯობესებას, ასიგნებები კადრების მომზადებაზე მომავალ წელს იზრდება 10,5 პროცენტით და 73,1 მილ. მან. შეადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელში და სოფლად მთელ რიგ საშუალო სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისა და ტრაქტორისტების მომზადებას და ეს სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო მატერიალური ბაზით და სახსრებით, რაც ბიუჯეტიდან იქნება გამოყოფილი.

მეცნიერების თანამედროვე აღმოჩენების გამოყენება და სახალხო მეურნეობაში დანერგვა საზოგადოების საწარმოო ძალების გადიდების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. ამიტომ აროს, რომ კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკის ბიუჯეტიდან კვლავ დიდი თანხებია გამოყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა გეგმებით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოების დასაფინანსებლად. ამ დანიშნულებით რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 36,7 მილ. მანეთი.

რესპუბლიკის ცალკეულმა თეატრებმა და მუსიკალურმა დაწესებულებებმა გაუმჯობესეს მუშაობა ხელოვნების და კულტურის განვითარების საქმეში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მოსახლეობამ დიდი მოწონებით მიიღო ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების ამსახველი სპექტაკლები და კონცერტები. ასეთი ღონისძიებების გატარებით მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხალხებს შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

იზრდება საბიუჯეტო ასიგნებები ხელოვნების, ლიტერატურის, რადიოსა და ტელევიზიის და ბეჭდვითი სიტყვის დაფინანსებაზე. ამ ღონისძიებებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილია 15.642 ათ. მან.

ფაროთოდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი გაიზრდება 700-ით. ქსელის მატების შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შესანახად საერთო ხარჯების მოცულობა ბიუჯეტით განისაზღვრება 160,6 მილ. მანეთით.

გარდა ამისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რესპუბლიკაში არსებული და საქვეყნად ცნობილი სხვადასხვა პროფილის კურორტები — სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით, რომლებიც პროფკავშირების გამგებლობაშია და ყოველწლიურად საშუალოდ 375 ათას ავადმყოფს და დამსვენებელს ატარებს. მათი მშენებლობის, კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის საერთო დანახარჯები 1971 წელს 37 მილიონ მანეთს შეადგენს.

რაც შეეხება რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების კურორტებს და ჯანმრთელობის დაცვის სხვა კერებს, მათ მშენებლობაზე, კეთილმოწყობასა და ექსპლოატაციაზე 1971 წელს დახარჯება 1.749 ათასი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან 727 ათასი მანეთი.

ასიგნებანი სოციალურ უზრუნველყოფაზე და მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისადმი სახელმწიფო დახმარებაზე გათვალისწინებულია 189,3 მილ. მან., რაც მიმდინარე წელთან შედარებით 9 მილ. მან. ანუ 5 პროცენტით იზრდება. საერთო ასიგნებიდან შრომის პენსიონერებზე პენსიების და დახმარებების გასაცემად სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დახარჯება 147,9 მილ. მან., ყველა სახის პენსიონერთა რიცხვი, გარდა კოლმეურნე პენსიონერებისა, 1971 წელს 365,4 ათას მიაღწევს. ამასთან კოლმეურნე პენსიონერთა საკავშირო ფონდიდან ჩვენს რესპუბლიკაში პენსიას მიიღებს 303 ათასზე მეტი კოლმეურნე და მათზე გაიცემა პენსიების და დახმარების სახით 58,8 მილ. მანეთი.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე მაბმა ადგილობრივმა ორგანობმა, საფინანსო ორგანოებთან ერთად ქმედითი კონტროლი უნდა დაწესონ სოციალურ-კულტურული დაწესებულებების შესანახად გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად, მომჭირნეობით და ეფექტურად გამოყენებაზე, უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაიაფების ღონისძიებათა შესახებ სკკა ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რის შედეგად შემცირდა მმართველობის აპარატი და მისი შესანახი ხარჯები, მაგრამ ამ აპარატის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, ზედმეტობა და ხარჯების შემდგომი შემცირების რეზერვები.

ამასთან დაკავშირებით სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები მართვის აპარატის შესანახი ხარჯების ყოველგვარი ზედმეტობის აღსაკვეთად, სრულყონ აპარატის მუშაობის სტილი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დისციპლინა და ამაღლონ ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ 1971 წლისათვის დაწესებულ სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების შემცირების დავალების შესრულებას.

სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და საფინანსო ორგანოებმა კი უნდა განახორციელონ სისტემატური კონტროლი მართვის აპარატის სრულყოფისა და შემცირების დავალების ფაქტიურ შესრულებაზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ყურადღება სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისადმი როგორც მატერიალური წარმოების, ისე არამატერიალური წარმოების სფეროში. ამასთან ერთად სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შეუნელებლად უნდა იბრძოლონ სახელმწიფო ფულადი და მატერიალური რესურსების დაცვის უზრუნველსაყოფად, განუხრელად შეასრულონ ამ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ არაერთგზის მიღებული დადგენილება და გადაჭრით გაუჯობესონ საუწყებო კონტროლის მუშაობა.

ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რომელთა მოცულობა წლითიწლობით იზრდება. ისინი ნათლად ასახავენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს და შემდგომ ამოცანებს.

1971 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა შეადგენს 463,9 მილ. მანეთს ანუ 14,3 მილ. მანეთით მეტს მიმდინარე წელთან შედარებით.

ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო თანხიდან 1971 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯება 351,3 მილ. მან., ხოლო სახალხო მეურნეობის განვითარებაზე 97,5 მილ. მანეთი.

სულ სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე მიმართული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო თანხის 96,7 პროცენტი.

დაწერილებითი მასალები ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტის შესახებ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს დაურიგდათ. ამ მასალებიდან ჩანს, რომ მომავალი წლისათვის იზრდება ყველა ბიუჯეტი.

მომდინარე წლის 1 იანვრისათვის ადგილობრივი ბიუჯეტებით სახსრების თავისუფალი ნაშთი შეადგენდა 21,8 მილ. მან., რაც მიმართულ იქნა სათანადო ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, დაბების და სოფლების კეთილმოწყობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად. ეს აძლიერებს მათს დაინტერესებას ბიუჯეტის წარმატებით შესრულების საქმეში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტები, გაფართოდა მათი საშემოსავლო წყაროები. თუ 1968 წელს რესპუბლიკაში დოტაციური იყო 440 სასოფლო და სადაბო საბჭოს ბიუჯეტი, 1970 წელს ასეთი საბჭოების რიცხვი 51-მდე შემცირდა, ე. ი. სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების საერთო რიცხვის 95% დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებით. თუ 1968 წ. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ შეასრულა სასოფლო და სადაბო საბჭოების საერთო რაოდენობის 17 პროცენტმა, ასეთი საბჭოების რაოდენობა მომდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის 7 პროცენტამდე შემცირდა.

ეს იმის შედეგია, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წ. 14/III დადგენილების საფუძველზე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მეტი ყურადღება დაუთმეს სასოფლო და სადაბო საბჭოების, ხელისუფლების ამ ძირეული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას და მათი ავტორიტეტის ამაღლებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა კანონმა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ. ახლა თვით სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაკებიც უკვე იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ეწევიან მიზანსწრაფულ-ორგანიზატორულ მუშაობას, აქტიურად უწყობენ ხელს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებას. აღნიშნული დადგენილების შემდეგ საბჭოებისათვის აშენდა 124 ახალი ადმინისტრაციული შენობა, დამთავრების პროცესშია 67, ხოლო 1971 წელს აშენდება კიდევ 43 შენობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ შემდგომ ამაღლდეს სადაბო და სასოფლო საბჭოების როლი, ხოლო მათი ბიუჯეტები გადაიქცეს ადგილობრივ საბჭოების მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მატერიალურ-ფინანსურ ბაზად.

სახელმწიფო დაზღვევის როლი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანია. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაზღვევის ორგანობმა სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ მეურნეობათა და მოქალაქეთა დასახმარებლად გასცეს 82 მილიონ მანეთზე მეტი. გასული წლის იანვარ-თებერვალში დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოსახლეობას; 1969 წელს გაცემული ეს დახმარება 25 მილიონ მანეთს აღემატება.

1971 წლის გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის მოსახლეობის ბირადი და ქონებრივი ნებაყოფლობითი დაზღვევის მოცულობის მნიშვნელოვანი გაფართოება, რაც ორგანიზაციული და მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების გზით უნდა იქნას მიღწეული.

* * *

1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი 1969 წელს შესრულდა შემოსავლის ნაწილში 1.340.124 ათასი მანეთით, ე. ი. დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 105,3%-ით, ხოლო ხარჯებში 1.305.721 ათასი მანეთით, ე. ი. დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 102,6%-ით. ბიუჯეტის შემოსავლის ხარჯებზე გადაეტებამ შეადგინა 34.403 ათასი მანეთი, რაც 1970 წელს მიმართულ იქნა სახალხო მეურნეობის დარგების და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად.

ამხანაგო დეპუტატებო!

1971 წელს ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლის სახელოვან იუბილეს.

1971 წლის ბიუჯეტი და მისი შესრულების ანგარიში მუდამ დარჩება როგორც მკაფიო მაგალითი უდიდესი მიღწევებისა, რაც ქართველმა ხალხმა მოიპოვა 50 წლის განმავლობაში დაძაბული შრომისა და ბრძოლის შედეგად, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს მშრომელები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ახალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, შრომასა და ენერგიას არ დაიშურებენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესასრულებლად, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში. **(ტაში).**

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომის შესახებ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომა, რომელიც 21-28 დეკემბრისათვის იყო დანიშნული ბუდაპეშტში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაიმართება მოგვიანებით. (საკდესი).

დამცველთა თხოვნა უარყვეს

ნიუ-იორკი. 21 დეკემბერი. (საკდესი). **ახალგაზრდა ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის ადვოკატმა ჯონ აბტმა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა თხოვნით არ დაუშვას, რომ დევისი გადასცენ კალიფორნიის ხელისუფლებს „მკვლელობაში მონაწილეობის“ შესახებ მის წინააღმდეგ შეთხზული ბრალდების გამო. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს წევრმა ჯონ ჰარლანმა უარყო აბტის ეს თხოვნა.**

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კალიფორნიაში დევისს მოელის სიკვდილის განაჩენი, ან ხანგრძლივი პატიმრობა, ამავე დროს, როგორც აბტმა განაცხადა კალიფორნიის ხელისუფლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე საბუთი, რომელიც ადასტურებდეს ახალგაზრდა კომუნისტის „ბრალს“.

ახალი ვრცოვკაცია

ფსენიანი, 22 დეკემბერი: (საკდესი). 20 დეკემბერს ამერიკელმა იმპერიალისტებმა ანალი შეიარაღებული პროვოკაციები მოახდინეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ნოონ სინმუნი“ იუწყება, ამ დღეს მათ ორჯერ შეაღწიეს შეიარაღებული აგენტები დემილიტარიზებული ზონის იმ რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევდა კორეის სახალხო-დემოკრატიული. რესპუბლიკა.

კორეის სახალხო არმიის საგუშაგოებმა დროულად აღმოაჩინეს და მთლიანად გაანეიტრეს დივერსანტები. მათ ხელთ იგდეს სხვადასხვა მოწყობილობა და სადაზვერვო აპარატურა.

დაპატიმრებანი ესპანეთში

პარიზი, 22 დეკემბერი (საკდესი). სევილიაში ესპანეთის პოლიციამ დააპატიმრა 24 კაცი, რომლებსაც აბრალებენ, რომ კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობას ეკუთვნიან. ამას იუწყება მადრიდიდან ფრანს პრესის საგენტო.

ოკინავველთა გულისწყრომა

ტოკიო, 22 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. გავრილენკო გვაცნობებს:

ოკინავის ქალაქ კოძის ქუჩებიდან გაიტანეს ამერიკის ავტომობილების უკანასკნელი ნამსხვრევები, რომლებიც გასულ კვირას დაიწვა მცხოვრებთა ამერიკის საწინააღმდეგო გამოსვლების დროს. მაგრამ იაპონელთა აღშფოთება ოკინავაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალთა მოქმედების გამო ჯერ კიდევ არ შენელებულა.

„ტოკიო სიმბუნი“ ქოძის მცხოვრებთა გამოსვლას უწოდებს ამერიკის მხედრიონის მიმართ ოკინავის მოსახლეობის გულისწყრომის გამოვლინებას. იაპონის პრესას მოჰყავს ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დანაშაულობების გრძელი სია, რომელთა მსხვერპლი გახდნენ ოკინაველი გლეხები, აგრეთვე ბავშვები და ქალები.

ოკინავისა და მთელი იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მოითხოვს ბოლო მოეღოს ამერიკის ბატონობას ოკინავაზე, დაუყოვნებლივ მოსპონ იქ მცხოვრებთა უბედურებისა და მწუხარების მთავარი წყარო — ამერიკის სამხედრო ბაზები, გაიყვანონ ოკინავიდან ამერიკის ჯარები და დაუბრუნონ კუნძული იაპონიას.

უიმედო სტატისტიკა

ვაშინგტონი. 22 დეკემბერი. (საკდესი). სურიოზულ დანაშაულობათა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა. ეს განაცხადა იუსტიციის მინისტრმა მიტჩელმა. დაიმოწმა რა გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემები, მიტჩელმა აღნიშნა, რომ გაძარცვის შემთხვევათა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში 15 პროცენტით გადიდდა, ხოლო ძალადობის გამოყენებით დანაშაულისა — 10 პროცენტით.

ნარკოტიკების შეტევა

პარიზი. 22 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთში იზრდება ნარკოტიკებით ვაჭრობა.

როგორც იუწყება გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“, რომელიც იმოწმებს საფრანგეთის პოლიციის მონაცემებს, 1969 წელს საფრანგეთში კონფისკაცია უყვეს 1.389 ტონა ნარკოტიკებს, ასეთი ტვირთის გადასაზიდად საჭიროა 75 ვაგონისაგან შემდგარი სატვირთო მატარებელი. 1945 წელს ჩამორთმეულ ნარკოტიკთა საერთო რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 19 ტონას.

ახლა საფრანგეთში ირიცხება აგრეთვე 7.000 „ოფიციალურად“ რეგისტრირებული ნარკომანი, მაგრამ 3.500 21 წელზე ნაკლები ხნისაა. 1969 წელს პოლიციამ დაპატიმრა 1762 კონტრაბანდისტი, ესე იგი თითქმის ჩვიდმეტჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს.

„ნარკოტიკები ემუქრებიან საფრანგეთის ახალგაზრდობას“, — ხაზს უსვამს „პარიზიენ ლიბერე“.

მსოფლიო დღეს

რგოლი გაანაჩენი

დასავლეთი ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა სასამართლო პროცესი ყოფილი სს-ელის, ობერშტურმფიურერის რ. ჰარტმანის საქმეზე. ჰარტმანი, რომელიც ნაციზმის პერიოდში ფაშისტი ჯალათის აიმპანის ერთ-ერთი ხელქვეითი იყო, მონაწილეობას იღებდა ადამიანთა მასობრივ მოსპობაში. იგი, კერძოდ, უშუალოდ მონაწილეობდა ებრაული ეროვნების 500 პირის მოსპობის გეგმის შემუშავებაში.

უურადღებას იპყრობს დასავლეთ გერმანიის სასამართლო ხელისუფალთა რბილი განაჩენი: გამოუსწორებელ ნაცისტ დამნაშავეს მიუსაჯეს მხოლოდ ექვსი წლის პატიმრობა. ამასთან მას ჩაუთვალეს ოთხი წლის პატიმრობა გამოძიების პერიოდში.

გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). პერუს პრეზიდენტმა ხუან ველასკო ალვარადომ ხელი მოაწერა დეკრეტს ქვეყანაში ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტიის შესახებ, იუწყება რეუტერის სააგენტოს ლიმელი კორესპონდენტი.

ინდოეთის მოსახლეობა

დელი, 21 დეკემბერი. (საკდესი). **როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, ინდოეთის მოსახლეობა ყოველწლიურად 2,5 პროცენტით იზრდება, რაც შეადგენს დაახლოებით 18 მილიონ ყაცს. 1971 წლის შუა ხანებისათვის ინდოეთის მოსახლეობა 565 მილიონს მიაღწევს მაშინ, როცა 1970 წლის 1 ივლისს 550.570 ათასი იყო.**

ესპანეთის მოსახლეობა

მადრიდი. 22 დეკემბერი. (საკდესი). თანახმად სტატისტიკური მონაცემებისა, რომლებიც გაზეთ „ოხა დელ ლუნესში“ გამოქვეყნდა, ესპანეთის მოსახლეობამ მიმდინარე წლის დეკემბერში 33.609 ათას კაცს მიაღწია.

სპორტი

გამარჯვებით დაიწყეს

ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი ავსტრალიაში

წარმატებით დაიწყეს ტურნე ავსტრალიაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა. ამჟამად ისინი გამოდიან სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე.

ო. მოროზოვამ სამი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და მეოთხედფინალში გავიდა. ა. მეტრეველმა გაიარა ასპარეზობის ორი წრე და ორივე მატჩი მოიგო. მეორე წრეში ჩვენმა თანამემამულემ დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კროუფორდი 6:1, 3:6, 6:1.

ათ-ათი საუკეთესო

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ათ-ათი უძლიერესი ჩოგბურთელ